<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. ამ კანონის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე მაღალსიჩქარიანი, ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითრების ხელშეწყობა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების გზით.

2. ეს კანონი ეფუძნება კონკურენციის, ღია ხელმისაწვდომობის, თანასწორობის, არადისკრიმინაციულობის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

ა) ამ კანონით განსაზღვრულ ინფრასტრუქტურის ოპერატორის საკუთრებაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე;

ბ) ამ კანონით გათვალსიწინებულ საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოებზე;

გ) ამ კანონით გათვალისწინებულ შენობის შიდა ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე.

2. ეს კანონი არ ვრცელდება:

ა)ელექტრონულ საკომუნიკაციო უწყებრივ ქსელებზე და ელექტრონულ საკომუნიკაციო სპეციალურ ქსელებზე, აგრეთვე თავდაცვის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სამოქალაქო უსაფრთხოების ფუნქციებისა და ამოცანების განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების, დაწესებულებების ან/და მათი მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ან შენობის შიდა ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე, გარდა იმ შემთხვევისა და იმ ფარგლებში, როდესაც შესაბამისი დაწესებულებები ავტორიზებულ პირებს მისცემენ დაშვების უფლებას ამგვარ ინფრასტრუქტურაზე;

ბ) სამხედრო დანიშნულების და სხვა შენობებზე, რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სამოქალაქო უსაფრთხოების მიზნებისთვის;

გ) ამ მუხლის ა და ბ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და შენობების სამშენებლო ან/და სარეკონსტრუქციო სამუშაოების კოორდინაციაზე;

3. საქართველოს მთავრობა ადგენს ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ შენობების ფიზიკურ ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების ჩამონათვალს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტორიზებული პირი - „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი;

ბ) ახალაშენებული შენობა - ისეთი მრავალფუნქციური ან/და მრავალბინიანი შენობა, რომელზეც სანებართვო განაცხადი შევსებულ იქნა ამ კანონის ამოქმედების შემდეგ;

გ) ინფრასტრუქტურის ოპერატორი - ავტორიზებული პირი, ასევე პირი, რომელიც ფლობს ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, რომლის საშულებითაც განზრახული აქვს განახორციელოს წარმოების, ტრანსპორტირების/განაწილების და სადიტრიბუციო შემდეგი მომსახურეობები:

გ.ა) გაზი;

გ.ბ) ელექტროენერგია, გარე განათების ჩათვლით;

გ.გ) გათბობა;

გ.დ) წყლის, მათ შორის ჩამდინარე და საკანალიზაციო წყლების განკარგვა ან გადამუშავება, სადრენაჟე სისტემები;

გ.ე) სატრანსპორტო მომსახურებება, მათ შორის სარკინიგზო, საგზაო, სანავსადგურე და აეროპორტის მომსახურება;

დ) ფიზიკური ინფრასტრუქტურა - ინფრასტრუქტურის ოპერატორის ქსელის, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ნებისმიერი ელემენტი, რომელიც განკუთვნილია ქსელის სხვა ელემენტების განსათავსებლად, თუმცა იგი თავად არ არის ქსელის აქტიური ელემენტი; ასეთებია მილები, ანძები, არხები, სათვალთვალო ჭები, საკანალიზაციო ლუკები, კაბინები, შენობები ან შენობებში შესასვლელები, თანალოკაციის ადგილების ჩათვლით, ანტენის მოწყობილობები, კოშკები და ბოძები; ამ კანონის მიზნებისთვის, ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტები, რომლებიც გამოიყენება სასმელი წყლის მიწოდებისათვის არ წარმოადგენს ფიზიკურ ინფრასტრუქტურას..

ე) საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოები - სამშენებლო სამუშაოები რომელიც მოიცავს სატელეკომუნიკაციო ან სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის ერთ ან მეტ ელემენტს;

ვ) საჯარო დაწესებულება - სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია;

ზ) შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურა - ფიზიკური ინფრასტრუქტურა ან ინსტალაციები ბოლო მომხმარებლამდე, მათ შორის საერთო საკუთრებაში არსებული ელემენტები, რომლებიც განკუთვნილია სადენიანი და/ან უსადენო დაშვების ქსელების განსათავსებლად, სადაც ასეთ დაშვების ქსელებს შეუძლიათ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდება და შენობის დაშვების წერტილის ქსელის ტერმინაციის წერტილთან მიერთება;

თ) შენობის დაშვების წერტილი – ფიზიკური წერტილი, რომელიც მდებარეობს შენობის შიგნით ან გარეთ, ხელმისაწვდომია ავტორიზებული პირისთვის და სადაც შესაძლებელია შენობის შიდა ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან მიერთება;

ი) სააგენტო - სსიპ „საქართველოს კონკურენციის სააგენტო“;

კ) ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრატორი - სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“;

ლ) კომისია - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

მუხლი 4. დაშვება არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე

1. ინფრასტრუქტურის ოპერატორი უფლებამოსილია ავტორიზებულ პირს შესთავაზოს საკუთარ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვება ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განთავსების მიზნით.

2. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია შესთავაზოს საკუთარ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვება სხვა ავტორიზებულ პირს.

3. ავტორიზებული პირის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ინფრასტრუქტურის ოპერატორი ვალდებულია დააკმაყოფილოს გონივრული მოთხოვნა საკუთარ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების დაშვების თაობაზე არადისკრიმინაციული, სამართლიანი და გონივრული პირობებით და ფასით. წერილობით მოთხოვნაში დაკონკრეტებული უნდა იყოს პროექტის ელემენტები, იმ ფიზიკური ინფრასტრუქტურის ჩათვლით, რომელზეც დაშვებაა მოთხოვნილი, დაშვების პირობების, ვადის და ფასის ჩათვლით, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

4. ავტორიზებულმა პირმა, სხვა ინფრასტრუქტურის ოპერატორს უნდა გადაუხადოს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ან/და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გამოყენების საფასური.

5. კომისია განსაზღვრავს ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე დაშვების წესებს და პირობებს.

6. სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ავტორიზებული პირის დაშვების/დაშვებაზე უარის წესებს და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

7.ინფრასტრუქტურის ოპერატორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ამ მუხლის მე–3 პუნქტის შესაბამისად მოთხოვნილ დაშვებაზე, მხოლოდ ისეთი ობიექტური, გამჭვირვალე და პროპროციული კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიც არის:

ა) ფიზიკური ინფრასტრუქტურის ტექნიკურ პარამეტრებთან (სტანდარტებთან) შეუსაბამობა, რომელზეც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების რომელიმე ელემენტის განთავსების მიზნით დაშვებაა მოთხოვნილი;

ბ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ნებისმიერი ელემენტის განთავსებისთვის საჭირო არასაკმარისი სივრცე, მათ შორის, ინფრასტრუქტურის ოპერატორის საჭიროებებისთვის სივრცის გამოყენების აუცილებლობა, რაც უნდა იყოს დასაბუთებული;

გ) საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენისგან დაცვის საკითხები;

დ) ნებისმიერი ქსელის მთლიანობა და უსაფრთხოება;

ე) რისკი იმისა, რომ დაგეგმილი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებები მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს სხვა მომსახურებების მიწოდებას იმავე ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე;

ვ) საბითუმო ფიზიკური ქსელის ინფრასტრუქტურაზე დაშვების რეალური ალტერნატიული საშუალებების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ და გამოყენებადია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების უზრუნველყოფისათვის, იმ პირობით, რომ დაშვება შეთავაზებული იქნება სამართლიანი და გონივრული პირობებით.

8. ფიზიკური ინფრასტრუქტურის ოპერატორმა უნდა გააფორმოს წერილობითი ხელშეკრულება დაშვების უფლების მინიჭების თაობაზე ან წერილობით შეატყობინოს დაშვებაზე უარის მიზეზები, ავტორიზებული პირისგან დაშვებაზე სრულყოფილი წერილობითი მოთხოვნის მიღების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

9. ფიზიკური ინფრასტრუქტურაზე დაშვების შესახებ ხელშეკრულებაში განისაზღვრება კონკრეტული ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ან/და შესაბამისი მიზნით არსებულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების წესები და პირობები.

10. დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ან კონკრეტულ პირობებსა და დებულებებზე, მათ შორის ფასზე, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სააგენტოს/კომისიას დავის გადაწყვეტის მოთხოვნით.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული პირებისთვის ფასის დადგენისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ გაწეული ხარჯი, ბიზნესზე შესაძლო გავლენა და გაწეული ინვესტიციის გონივრული უკუგება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებიან.

12. სააგენტომ/კომისია ამ კანონის შესაბამისად თანასწორობის პრინციპის გათვალსიწინებით შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ არა უმეტეს მოთხოვნის მიღებიდან 4 თვისა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სადაო საკითხის თაობაზე. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს საერთო სასამართლოში საქართველოს კონონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ამ მუხლით დადგენილმა მოთხოვნებმა არ უნდა დააზარალოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის მესაკუთრეთა ან მესამე პირთა საკუთრების უფლებები.

მუხლი 5. არსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

1. ავტორიზებულ პირს აქვს ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების უფლება, ხოლო ინფრასტრუქტურის ოპერატორი ვალდებულია ავტორიზებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შესახებ მიაწოდოს სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

ა) ადგილმდებარეობა და მარშრუტი;

ბ) ინფრასტრუქტურის ტიპი და ამჟამინდელი დანიშნულება;

გ) ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების პროცედურები;

დ) ტექნიკური ინსტრუქციები (არსებობის შემთხვევაში) ;

ე) საკონტაქტო პირი.

2. ინფრასტრუქტურის ოპერატორი უფლებამოსილია დასაბუთებული უარი განაცხადოს ინფორმაციის გაცემაზე ან შეზღუდოს მისაწოდებული ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: რათა უზრუნველყოს:

ა) რათა უზრუნველყოს ქსელების უსაფრთხოება და მთლიანობა;

ბ) რათა უზრუნველყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ჯანდაცვა.

გ) რათა უზრუნველყოს სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოება.

დ) ისეთ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელზეც ტექნიკურად შეუძლებელია მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის ელემენტების განთავსება.

3. ფიზიკური ინფრასტრუქტურის ერთიანმა საინფორმაციო პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს მისთვის მიწოდებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ელექტრონული

ფორმატით, თანასწორი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პირობებით. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურის ოპერატორი.

4. თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი ფიზიკური ინფრასტრუქტურის ერთიანი საინფორმაციო სისტემით, ინფრასტრუქტურის ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ამგვარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ავტორიზებული პირის კონკრეტული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების განთავსებისათვის გათვალისწინებული ადგილი. ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ავტორიზებული პირი წერილობითი მოთხოვნის მიღების დღიდან არაუმეტეს 2 თვის ვადაში, თანასწორი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პირობებით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვების დაცვით.

5. ავტორიზებული პირის კონკრეტული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ინფრასტრუქტურის ოპერატორი ვალდებულია დააკმაყოფილოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის ელემენტების ადგილზე შესწავლასთან დაკავშირებული მოთხოვნები. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს ის ინფრასტრუქტურის ელემენტები, რომლებზეც ავტორიზებული პირი ითხოვს დაშვებას. მითითებული ინფრასტრუქტურის ელემენტების ადგილზე შესწავლის უფლება უნდა გაიცეს თანასწორი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პირობების საფუძველზე, ავტორიზებული პირისგან წერილობითი მოთხოვნის მიღების დღიდან ერთი თვის ვადაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვების დაცვით.

6. ამ მუხლში განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული დავის წარმოშობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება, მიმართოს სააგენტოს/კომისიას.

7. სააგენტომ/კომისიამ, ამ კანონის შესაბამისად, თანასწორობის, არადისკრიმინაციულობის და გამჭვირვალობის პრინციპის გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სადაო საკითხის თაობაზე. სააგენტოს/კომისიის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კომისიის/სააგენტოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს საერთო სასამართლოებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 6. საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების კოორდინაცია

1. პირი, რომლებიც აწარმოებს საზოგადოებრივი დანიშნულების სამუშოებს, და ასეთი სამუშაოები მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ ავტორიზებული პირის ნებისმიერი გონივრული მოთხოვნა, რათა გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად განახორციელონ კოორდინაცია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ოპერატორებისთვის

მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის ელემენტების განთავსების მიზნით, იმ პირობით რომ:

ა) აღნიშნული არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს, მათ შორის, დაგეგმილი საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების დამატებით შეფერხებას;

ბ) ხელი არ შეეშლება საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების კოორდინაციას.

გ) ავტორიზებული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს მშენებლობის ნებართვის მიღებისთვის პროექტის წარდგენამდე უმოკლეს ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვით ადრე წარუდგენს მოთხოვნას კოორდინაციაზე.

2. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალსიწნებული კოორდინაცია ვერ შედგა, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სააგენტოს/კომისიას.

3. სააგენტომ/კომისიამ, ამ კანონის შესაბამისად, თანასწორობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სადაო საკითხის თაობაზე. სააგენტოს/კომისიის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. საზოგადოებრივი დანიშნულების სამშენებლო სამუშაოების კოორდინაციის მიზნით ინფორმაციის მიწოდება

1. ამ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები (გარდა ამ მუხლის

მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ვალდებულნი არიან, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ყველა ოპერატორს, ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის მეშვეობით მიაწოდონ ინფორმაცია ისეთი სამშენებლო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების განზრახვის თაობაზე, რომელზეც შესაძლებელია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მოწყობისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა ან გაფართოება.

2. ავტორიზებულ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ჩაერთოს საპროექტო სამუშოების დაგეგმვის (დაპროექტების) ეტაპზე, ასევე სამშენებლო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისთვის მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესში შესაბამისი პროექტის წარდგენამდე 1 თვით ადრე. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ოპერატორები შესაძლებელია ცალკე ან ერთობლივად ჩაერთონ დაგეგმილ სამუშაოებში ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განთავსების უზრუნველსაყოფად შესაფერისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ან გაფართოების მიზნით.

3. ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საზოგადოებრივი სამუშაოების კოორდინაციაზე შეთანხმების მიღწევის მიზნით ინფრასტრუქტურის ოპერატორებმა,

ავტორიზებულ პირს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეეხება ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ მიმდინარე ან დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს, რომლისთვისაც უკვე გაიცა ნებართვა/თანხმობა ან ნებართვის/თანხმობის გაცემის პროცედურა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ან შესაბამისი საჯარო დაწესებულებისთვის ნებართვის/თანხმობის მიღების თაობაზე დოკუმენტაციის პირველადი წარდგენა დაგეგმილია (გათვალისწინებულია) მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში:

ა) სამუშაოების ადგილმდებარეობა და ტიპი;

ბ) შესაბამისი ფიზიკური ინფრასტრუქტურის ქსელის ელემენტები;

გ) სამუშაოების დაწყების სავარაუდო თარიღი და მათი ხანგრძლივობა;

დ) საკონტაქტო ინფორმაცია.

4. ამ მუხლის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს ადგილმდებარეობა, სადაც ის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ელემენტების განთავსებას გეგმავს.

5. ავტორიზებული პირისგან წერილობითი მოთხოვნის მიღების დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ინფრასტრუქტურის ოპერატორმა უნდა მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია თანასწორი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე პირინციპების დაცვით, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

6. ინფრასტრუქტურის ოპერატორს უფლება აქვს შეზღუდულად მიაწოდოს ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჭიროა, რომ უზრუნველოყოს:

ა) ქსელების მთლიანობა და დაცულობა;

ბ) სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ჯანდაცვა.

გ) სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოება.

7. ინფრასტრუქტურის ოპერატორს უფლება აქვს უარი განაცხადოს მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ის უზრუნველყოფს მოთხოვნილი ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას ელექტრონულ ფორმატით, ან

ბ) წვდომა ასეთ ინფორმაციაზე უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურის ერთიან საინფორმაციო პლატფორმის მეშვეობით.

მუხლი 8. შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურა

1. ყველა ახლად აშენებული შენობა აღჭურვილი უნდა იყოს შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურით, მათ შორის, ბოლო მომხმარებლის ელექტრონული საკომუნიკაციო

ქსელის დამაბოლოებელი წერტილებისა და შენობაში ავტორიზებული პირების დაშვების წერტილების ჩათვლით.

2. შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და შენობაში დაშვების ტექნიკური სპეციფიკაციები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 9. დაშვება შენობის შიდა ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე

1. ყველა ავტორიზებული პირს უფლება აქვს გაიყვანოს თავისი ქსელი, საკუთარი ხარჯით, შენობის დაშვების წერტილამდე.

2. ყველა ავტორიზებული პირს აქვს ნებისმიერ არსებულ შენობის შიდა ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის განთავსების უფლება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

3. შენობაში დაშვების წერტილის და შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურის მფლობელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ავტორიზებული პირის დაშვებასთან დაკავშირებული ყველა გონივრული მოთხოვნა, სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობებით.

4. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში დაშვების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თითოეულ მხარეს უფლება აქვს პირველ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, მიმართოს სააგენტოს. სააგენტომ, თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით, დავის გადასაწყვეტად შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში და არა უგვიანეს 2 თვის ვადისა, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. სააგენტოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურის არარსებობის შემთხვევაში, ავტორიზებულ პირს უფლება აქვს გაიყვანოს საკუთარი ქსელი აბონენტამდე და ქსელის დასრულების წერტილად განსაზღვროს აბონენტის საცხოვრებელი ადგილი, აბონენტთან შეთანხმების საფუძველზე, იმ პირობით, რომ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი მესამე მხარეების კერძო საკუთრებაზე ზეგავლენა.

მუხლი 10. ფიზიკური ინფრასტრუქტურის ექსკლუზიური გამოყენების (სარგებლობის) უფლების აკრძალვა

1. დაუშვებელია ფიზიკური ინფრასტრუქტურისექსკლუზიურად დაკავება. დაუშვებელია ხელშეკრულებით, დებულებით ან პირობით, რომელიც ითვალისწინებს ავტორიზებული პირის ან ამ კანონით განსაზღვრული რომელიმე პირის მიერ ცალკე, ან ერთობლივად, ფიზიკური ინფრასტრუქტურის ექსკლუზიურად დაკავებას. ნებისმიერი ასეთი ხელშეკრულება, დებულება ან პირობა ბათილია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის აკრძალვა არ ზღუდავს განსაზღვრულ პირებს ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაიკავონ სივრცე საკუთარი სარგებლობისთვის მიმდინარე და სამომავლო მშენებლობის შემთხვევაში, სათანადო დასაბუთებით.

მუხლი 11. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა

1. ავტორიზებული პირი, რომელიც მოიპოვებს კონფიდენციალურ ინფორმაციას ინფრასტრუქტურის ოპერატორისგან ან შენობაში დაშვების წერტილის და შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურის მფლობელისგან, ამ კანონის შესაბამისად, ვალდებულია:

ა) გამოიყენოს ასეთი ინფორმაცია მხოლოდ იმ მიზნით, რისთვისაც ის იქნა მიწოდებული, შეზღუდოს წვდომა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელთათვის ეს ინფორმაცია აუცილებელია აღნიშნული მიზნის მისაღწევად და ყოველთვის დაიცვას წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალობა;

ბ) არ გადასცეს ასეთი ინფორმაცია ნებისმიერ სხვა პირს ან არ დაუშვას მისი გამოყენება ავტორიზებული პირის გარდა სხვა პირის მიერ.

2. ამ მუხლის არცერთი პირობა არ ახდენს გავლენას პირის ნებისმიერ სხვა უფლებაზე, რომელიც შესაძლოა მას ჰქონდეს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. უფლებამოსილი ორგანოს მიერ დავების განხილვა

1. ავტორიზებულ პირებს შორის წარმოშობილ დავებს განხილავს კომისია, ხოლო ავტორიზებულ პირსა და იმ ინფრასტრუქტურის ოპერატორს შორის, რომელიც არ არის ავტორიზებული პირი, დავას განიხილავს სააგენტო.

2. სააგენტოს/კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული დავების შემთხვევაში, ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები ინტერეთა შეუთავსებლობის შესახებ.

მუხლი 13. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

1. ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ ამ კანონით დადგენილი , ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას კომპეტენციის ფარგელებში იღებს კომისია/სააგენტო.

2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს კომისია/სააგენტო ან მათი საამისოდ უფლებამოსილი პირი, კომპეტენციის ფარგლებში.

4.კომისია/სააგენტო ან მათი საამისოდ უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს და განუსაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის გამოსასწორებლად.

5. კომისიის/სააგნეტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ინფრასტრუქტურის ოპერატორი დაჯარიმდება წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 0,2% პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 3000 და არაუმეტეს 30000 ლარისა.

6. ადმინისტრაციული სახდელის - ჯარიმის დადებიდან ერთი კალენდარული წლის განმავლობაში დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, ინფრასტრუქტურის ოპერატორი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმის თანხის ორმაგი ოდენობით.

7. ჯარიმა გადაიხდება ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების დამრღვევისათვის ჩაბარებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. ჯარიმა ჩაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

8. დამრღვევის მიერ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიექცევა დაუყონებლივ აღსასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

9. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორების ვალდებულებისგან.

მუხლი 14. ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა

1. ერთიან საინფორმაციო პლატფორმის ადმინისტრირებას აწარმოებს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“.

2. ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა ეყრდნობა ინფორმაციის გაზიარებისა და გაცვლის პრინციპებს და ხელმისაწვდომია ამ კანონით განსაზღვრული პირებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას პლატფორმაში ინფორმაციის შეტანის ვალდებულება და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა, დადგენილი წესით.

3. ერთიან საინფორმაციო პლატფორმაში ინფორმაციის შეტანისა და წარმოების წესს განსაზღვრავს კომისია.

4. ერთიან საინფორმაციო პლატფორმაზე განთავსებული უნდა იყოს მშენებლობის ნებართვის/თანხმობის მიღებასთან დაკავშირებული წესებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე აღნიშნული პლატფორმა უნდა იძლეოდეს სამშენებლო ნებართვის/თანხმობის მისაღებად განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას. მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული წესები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებები

1. 2021 წლის 1 იანვრამდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უზრუნველყოს:

ა) ერთიანი საინფორმაციო პლატფორმის შექმნა და აღნიშნული პლატფორმის ადმინისტრირების წესის მიღება.

ბ) ავტორიზებულ პირებს შორის ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე დაშვების წესებისა და პირობების დაადგენის შესახებ ნორმატიული აქტის მიღება.

2. 2021 წლის პირველ იანვრამდე საქართველოს მთავრობამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით, უზრუნველყოს:

ა) იმ ფიზიკური ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი დანიშნულების სამუშაოებისა და შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურის ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ დადგენილების მიღება, რომელზეც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება;

ბ) სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე ავტორიზებული პირის დაშვების წესები და პირობების შესახებ დადგენილების მიღება;

გ) შენობის შიდა ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და შენობაში დაშვების ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრის შესახებ დადგენილების მიღება;

მუხლი 16. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი - მე-14 მუხლებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი - მე-14 მუხლები ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**